პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 164 (3648)

21 1968 წ. აგვისტო, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.




## მეხიკოს სიგნალები

**ბუდაპეშტი,** 20 აგვისტო. ძალოსანთა შეჯიბრებაში უნგრეთი შვიდივე წონით კატეგორიაში გამოიყვანს ათლეტებს. ექვსმა სპორტსმენმა უკვე გაინაღდა ოლიმპიური თამაშების საგზური. ესენი არიან ფიოლდი, ბენედეკი, ბაგოჩი, ბაკოში, ტოტი და ნემეშანი. მეშვიდე საგზურზე პრეტენზიას აცხადებს საშუალო წონის ძალოსანი ვერეში. მისი საკითხი სექტემბერში გადაწყდება ქვეყნის ჩემპიონატში. ის, რომ მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი ჯერ კიდევ არ შეუყვანიათ ეროვნულ ნაკრებში, მისი ტრავმით აიხსნება. თვითონ ვერეში ჯერჯერობით უკმაყოფილოა თავისი ფიზიკური მდგომარეობით, მაგრამ იმედოვნებს, რომ უნგრეთის პირველობისთვის მთლიანად განიკურნება და სამჭიდის ჯამში 460 კგ-ს აჩვენებს. ეს შედეგი, როგორც ჩანს, საკმარისი იქნება ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად.

**ტუნისი,** 20 აგვისტო. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი მ. გამუდი ტუნისის გუნდს ჩაუდგება სათავეში მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში. იგი 5 და 10 ათას მეტრზე რბენაში იასპარეზებს. მისი ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში სულ 7 ათლეტი იქნება, მათ შორის, 3 მორბენალი და 4 მოკრივე.

**ლონდონი,** 20 აგვისტო. მექსიკის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი უხუცესი მონაწილე იქნება ინგლისელი მსროლელი ჩარლზ სექსტონი. იგი 62 წლისაა. სექსტონი ინგლისის გუნდის სახელით ჯერ კიდევ რომის ოლიმპიადაში გამოდიოდა. ბრიტანეთის ერთვნებათა თანამეგობრობის 1966 წლის თამაშებში, რომელიც იამაიკის კუნძულზე გაიმართა, მან ოქროს მედალი მოიხვეჭა. ინგლისის გუნდში ასაკით მეორე ადგილზეა 55 წლის მესტენდურე (სექსტონი ტყვიის მსროლელია) ერიკ გრენტჰემი.

## ბაშკირეთის ახალი ბაზები

უფა. ბაშკირეთის დედაქალაქში ამას წინათ გაიხსნა „ნეფტიანიკის" სტადიონი, რომელიც 12 ათას მაყურებელს იტევს. ახალი ბაზა ადგილობრივი ნავთობგადამმუშავებელი და სინთეტური სპირტის ქარხნების თანხებით აიგო. სტადიონის ფეხბურთის მინდორი, მძლეოსნური ბილიკები, თამაშობათა მოედნები, ფრენბურთის, კალათბურთის, ძალოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის დარბაზები უკვე გამოსცადეს სპორტსმენებმა. მწყობრში ჩადგება 50-მეტრიანი დახურული საცურაო აუზი. აუზები შენდება აგრეთვე სტერლიტამაკში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

უფაში შენდება 90-მეტრიანი ტრამპლინი თხილამურებით მხტომელებისთვის, დახურული მძლეოსნური მანეჟი 200-მეტრიანი სარბენი ბილიკებით.

# ჩვენს ძმა რესპუბლიკებში

— ხუთწლედის განვლილ წლებში რესპუბლიკაში საწარმოთა, ტრესტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ გამოყოფილი სახსრებით ასობით კაპიტალური სპორტული ბაზა აიგო, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ბაშკირეთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ივლიევმა. — სპორტის სასახლეები გაიხსნა უფასა და ოქტიაბრსკში, კუმირტაუსა და მელეუზში, სხვადასხვა რაიონის კოლმეურნეობებში.

რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მწყობრში ჩადგა 200-ზე მეტი ტურისტული ქალაქი და სათხილამურო ბაზა.

ბევრი ახალი ნაგებობა მზად იქნება ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის.



სურათზე: რ. ბოსტონი ახპარეზობისას.



## 18 წლის მწვრთნელი

მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" ტანვარჯიშულ დარბაზში ხშირად ნახავთ გრაციოზულ ელენა კრემერს. 18 წლის სპორტის ოსტატი სსრ კავშირის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრია. მისი შესრულებული ვარჯიშები მუდამ დინამიურობითა და დახვეწილობით გამოირჩევა. ახალგაზრდა ოსტატს მარტო პირადი წარმატება როდი აკმაყოფილებს: იგი ორი წელია მწვრთნელადაც მუშაობს და ამ ხნის მანძილზე მოამზადა 10 პირველთანრიგოსანი, 20-მდე II და III თანრიგების ტანმოვარჯიშე. მოწაფეები ახალგაზრდა მწვრთნელთან ერთად წარმატებით იცავენ თავიანთი სპორტსაზოგადოების ღირსებას.

სურათზე: ე. კრემერი ვარჯიშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

# მძლეოსნური გლობუსი

**400 მ — 44,9**

**17 წლის ბეილსმა — 100 მეტრი 11,1 წამში...**

**ხოჟუვი,** 19 აგვისტო. 117:113 — ასეთი ანგარიშით დაამარცხეს აქ გამართულ ორდღიან მატჩში პოლონელებმა იტალიის გუნდი. სტუმარმა ჯ. ჯანტილემ ერთბაშად ორი ეროვნული რეკორდი დაამყარა — 791 სმ სიგრძეზე გადახტა და სამხტომში 16,74 მ აჩვენა. მაგრამ სიგრძეზე ხტომაში პირველობა პოლონელ ა. სტელმახს დარჩა, რომელმაც 811 სანტიმეტრზე „იფრინა". 4×400 მეტრზე ესტაფეტაში პოლონელებმა ევროპაში წლეულს საუკეთესო შედეგი აჩვენეს — 3.05,0.

**ციურიხი,** 19 აგვისტო. პოლონეთის მძლეოსან ვაჟთა მეორე გუნდმა აქ ანგარიშით 122:99 მოუგო მატჩი შვეიცარიელებს. უნდა აღინიშნოს 400 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ი. ვერნერის დრო — 45,8.

**საუტ-ლეიკ-ტახო** (კალიფორნიის შტატი), 19 აგვისტო. ამ მაღალმთიანი ქალაქის სტადიონზე 400 მეტრი წლევანდელ ოლიმპიურ სეზონში ყველაზე სწრაფად გაირბინა ლ. ევანსმა — 44,9. ამერიკელი მძლეოსნების ამ შეჯიბრების შემდეგ ევანსმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანში შეეცდება ამ დისტანციაზე 44,3 წამი აჩვენოს, რაც 0,2 წამით სჯობს ამერიკელი ტ. სმითის მსოფლიო რეკორდს. მ. პენდერმა 100 მ 10 წამში გაირბინა, ხოლო 200 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა ჯ. კარლოსი — 20,3. სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა რ. ბოსტონმა—800 სმ, ბადროს ტყორცნაში — ჯ. სილვესტრმა—65,53 მ, უროს ტყორცნაში — ე. ბურკემ — 69,09 მ, 5000 მეტრზე რბენაში — ბ. დეიმ — 14.38,4.

**აურორი** (კოლორადოს შტატი), 19 აგვისტო. 100 მეტრზე რბენაში ი. კირშენშტეინ-შევინსკას (პოლონეთი) მსოფლიო რეკორდი — 11,1 წამი გაიმეორა აქ გამართულ შეჯიბრებაში 17 წლის მარგარეტ ბეილსმა.

**ბერლინი,** 19 აგვისტო. კლაუს ბეერმა გდრ-ის ახალი რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში — 809 სმ.

**ბონი,** 19 აგვისტო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატში მხოლოდ 4 სმ დააკლდა თავის მსოფლიო რეკორდამდე ლიზელ ვესტერმანს — მისმა ნატყორცნმა ბადრომ 62,50 მ „დაფარა". ჰაიდი როზენდალი 662 სმ სიგრძეზე გადახტა. ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე რბენაში მ. ელინგჰაუსმა — 20,6. ჰ. ბირლენბახმა 19,89 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

ავტომოტო საათი!

# ბანვლილი ბრძოლების ნაკვალევზე

◆ **ორიოლი,** 20 აგვისტო. დღეს ქალაქის ქუჩებში ზეიმურად ჩაიქროლა 150 მოტოციკლისა და ავტომანქანისგან შემდგარმა ხმაურიანმა კავალკადამ — აქ გაიხსნა მოტოტურისტთა I საკავშირო შეკრება. ეს საინტერესო ღონისძიება ორიოლ — კურსკის რკალზე ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 25 წლისთავისადმია მიძღვნილი.

ბუხარისა და ტიუმენის, კიევისა და თბილისის, ნოვოსიბირსკისა და ბევრი სხვა ქალაქის „ბორბლევზიანმა" ტურისტებმა ათასობით კილომეტრი გადალახეს მცხუნვარე მზესა და კოკისპირულ წვიმებში. ავტოსტრადებსა და შარაგზებზე მდებარე ძნელმა გზამ ასეთი სახელი მიიღო: რალი „ორიოლი".

ტანკისტების ძეგლიდან, სადაც მარადიული ცეცხლი ანთია, ტურისტებმა დაიწყეს მოტოლაშქრობა საბრძოლო დიდების ადგილებისაკენ, რომლის მარშრუტი გადის კურსკზე, ბრიანსკზე, როსლავლსა და კალუგაზე. გზაში ისინი შეხვდებიან სამამულო ომის ბრძოლების გმირებს, კემპინგ „მწვანე მუხნარში" გამართავენ ასპარეზობას — მოტოციკლისა და ავტომობილის მართვის ოსტატობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, გაითამაშებენ პრიზებს — „ერთობა და ძმობა", „ალისფერი ფოთლები" და სხვ. ერთი პრიზი სახელმწიფო ავტოინსპექციის მთავარმა სამმართველომ დააწესა — „გზაში უხიფათობისთვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტკავშირში

# ბრმა გულშემატკივრობა

ეს ფრიად სამწუხარო და ღასახანი ამბავი ბორჯომის სტადიონზე მოხდა ა. წ. 21 ივლისს.

ჩვენს შესანიშნავ საკურორტო ქალაქში დანიშნული იყო მორიგი კალენდარული მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში: ადგილობრივი სპარტაკელები თბილისის არმიელთა გუნდს მასპინძლობდნენ.

რა თქმა უნდა, ბორჯომელი მაყურებლები მუდამ დიდ ინტერესს იჩენენ რესპუბლიკური ჩემპიონატის შეხვედრათა მიმართ, ცდილობენ არ გააცდინონ ისინი და თავიანთი მხარდაჭერით გაამხნეონ გუნდი, რომელიც მათი ქალაქის თუ რაიონის ინტერესს იცავს.

ეს გასაგები გრძნობაა. რაც ფეხბურთი არსებობს, არსებობს გულშემატკივარიც, დაინტერესებული პირი, რომელსაც თავისიანების გამარჯვება სწადია და მათ უჭერს მხარს. საკუთარი გუნდის ქომაგობა არაა დასაძრახი.

მაგრამ ბორჯომელ გულშემატკივართა ერთი ჯგუფი 21 ივლისს საგანგებოდ იყო განწყობილი და ზედმეტ აჟიოტაჟს ქმნიდა. შეიძლება იმიტომ რომ მატჩის შედეგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა (იმ დროისთვის თბილისელებს 35 ქულით I ადგილი ეკავათ გათამაშების ცხრილში, ხოლო ბორჯომის „სპარტაკი" 29 ქულით III-IV ადგილებს იყოფდა და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა).

მაყურებელთა ნაწილი თამაშის დაწყებამდე სამსაჯო ოთახის მახლობლად ტრიალებდა, საერთო „განწყობილებას" ქმნიდა და ბევრნი შიგაც შესულიყვნენ — მსაჯთან. ალბათ, გარკვეული ზემოქმედების მოსახდენად.

მატჩის მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი) ამტკიცებს, რომ ზოგიერთნი აქვე, ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე, საკმაოდ არაორაზროვან ფორმებში, ულტიმატუმის სახით მოითხოვდნენ მისგან გარანტიას მატჩის შედეგის თაობაზე. ასეა ეს თუ არა, ახლა ძნელი დასადგენია, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება იზრაელაშვილის სიტყვების გაბათილებას და თავის მართლებას, მან ისიც უნდა გვითხრას: აბა, რა უნდოდა ამ გარეშე ხალხს და გულშემატკივრებს მსაჯის ოთახში? რა ესაქმებოდათ?

აი, სწორედ აქ უნდა გამოეჩინათ სიფხიზლე, შორსმჭვრეტელობა და, უბრალოდ, თავის პირდაპირ მოვალეობათა აღსრულების გრძნობა სტადიონის დირექციას, ადგილობრივ მილიციას, სახალხო რაზმელებს, სპორტკავშირის წარმომადგენლებს და გაეწმინდათ სამსაჯო ოთახი, წაეყვანათ ხალხი ტრიბუნებზე. მაშინ ყოვლად უმგავსი ინციდენტი არ მოხდებოდა.

მაგრამ მივყვეთ ამბის მსვლელობას. თამაში თავიდანვე ნერვიულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ხშირი იყო წესრიგის დარღვევა მინდორზე, მსაჯი წამდაუწუმ აჩერებდა თამაშს, გასაფრთხილებლად იხმობდა ფეხბურთელებს, გუნდების კაპიტნებს, ცდილობდა დაეცხრო ზედმეტი „ვნებათა ღელვანი", მით უმეტეს, რომ გულშემატკივართა ის ჯგუფი, რომელიც მისი ოთახის ბლოკადას აწარმოებდა მატჩის წინ, ახლაც საკმაოდ თავშეუკავებლად იქცეოდა ტრიბუნებზე.

ასე ჯახირით და ვაინაჩრობით მიმდინარეობდა თამაში, როცა ბორჯომელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და იზრაელაშვილმა პენალტი დანიშნა.

ვთქვათ, არ იყო პენალტი. დავუშვათ იგი „მოეჩვენა" მსაჯს. განა ეს აძლევდა ბორჯომელ ფეხბურთელებს საბაბს ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მოიქცნენ? ისინი გულდაგულ მიეჭრნენ მსაჯს, მჭიდრო რკალად შემოეხვივნენ და კატეგორიულად მოსთხოვეს შეეცვალა გადაწყვეტილება. ამ კატეგორიულ მოთხოვნაში ძირითადად შედიოდა მუქარა, გინება, ხელის კვრა. განსაკუთრებით აგრესიულად იყვნენ განწყობილი „სპარტაკის" მოთამაშეები ლურსმანაშვილი და ბუხნიკაშვილი.

მსაჯი ბოლომდე პრინციპული დარჩა და არმიელებმა შეასრულეს პენალტი — 1:0.

შესვენებისას იზრაელაშვილს ოთახში მიეჭრნენ ბორჯომის სპორტკავშირის თავმჯდომარე ე. გენდელმანი და მილიციის უფროსი ლეიტენანტი, რომლის ვინაობა, სამწუხაროდ, ჩვენთვის ახლაც ინკოგნიტოა. ისინი ყოვლად დაურიდებლად, უხეშად, დაუშვებელ ფორმებში ბრალს ხდებდნენ მსაჯს არაობიექტურობასა და უცოდინარობაში.

მეორე ტაიმში არმიელებმა მეორე გოლი გაიტანეს. აი, აქ კი ნამდვილი ქარიშხალი ატყდა. სპარტაკელებმა „თამაშგარე" მდგომარეობა მიიჩნიეს. ისინი ისევ შემოეხვივნენ მსაჯს, აგინებდნენ, თავხედურად მიიწევდნენ მასზე, ლურსმანაშვილი და ბუხნიკაშვილი კი ფეხებს ურტყამდნენ. ამ დროს „სცენაზე" (ე. ი. მინდორზე) გამოჩნდნენ ე. გენდელმანი და ისევ ის ინკოგნიტო უფროსი ლეიტენანტი, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ წესრიგი დაემყარებინათ. პირიქით. ისინიც ჩათვლილი გოლის გაუქმებას მოითხოვდნენ, აქეზებდნენ თავგასულ ფეხბურთელებს. ტრიბუნებიდან წამოვიდა ქვები...

იზრაელაშვილმა მინდვრიდან გააძევა ხულიგნები — ლურსმანაშვილი და ბუხნიკაშვილი, მაგრამ საერთო წესრიგის დამყარება ვერაფრით ვერ შეძლო. მინდორზე არანორმალური ვითარება სუფევდა და მსაჯმაც გადაწყვიტა შეეწყვიტა თამაში. ეს მოხდა მე-60 წუთზე.

გასახდელში კვლავ შეცვივდნენ გულშემატკივრები, ისინი კვლავ საცემრად მიიწევდნენ მსაჯზე, მატჩის გაგრძელებას მოითხოვდნენ. მათ შეუერთდნენ ლურსმანაშვილი და კიდევ ერთი ბორჯომელი მოთამაშე პეტროსიანი. ენით აუწერელი გნიასი იდგა. მილიციის თანამშრომელთაგან, რომლებიც ამ დროს სამსაჯო ოთახში ტრიალებდნენ, არც ერთმა არ ისურვა წესრიგის დაცვისთვის მოეკიდა ხელი.

აქვე ოთახში იმყოფებოდა იზრაელაშვილის კოლეგა, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი). ნაცვლად იმისა, რომ დახმარება გაეწია მსაჯისთვის, მილჩენკოც მოითხოვდა მისგან თამაშის გაგრძელებას, იმუქრებოდა მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმის სახელით, რომლის წევრიც თვითონაა და ბორჯომელებს ურჩევდა დაწერეთ პროტესტი, მე მხარს დაგიჭერთო.

ამახობაში სტადიონზე ორჯერ გამოაცხადეს — თამაში გაგრძელდებაო, თუმცა მსაჯს არც უფიქრია ამაზე და არც იყო საამისო საშუალება. მერე იზრაელაშვილს ცილი დასწამეს ნასვამია და შევამოწმოთო, თუმცა ყველა კარგად ხედავდა, რომ იგი ფხიზელი იყო.

შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდნენ კეთილგონიერი ადამიანები და იზრაელაშვილი მანქანით წაიყვანეს, უფრო სწორად — გააპარეს სტადიონიდან.

აი, ასეთი უსიამოვნო ამბავი მოხდა ბორჯომში. რამდენიმე აღვირახსნილმა ფეხბურთელმა და ბრმა გულშემატკივართა ერთმა, თუნდაც სულ პატარა ჯგუფმა, სკანდალამდე მიიყვანა რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩი.

ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა იმსჯელეს ამ საკითხზე და შესაფერი გადაწყვეტილებაც მიიღეს. კერძოდ, გათავისუფლებულია ადგილობრივი „სპარტაკის" მწვრთნელობიდან ჯ. ზეინკლიშვილი, სასტიკი საყვედური გამოეცხადა „სპარტაკის" რაისაბჭოს თავმჯდომარეს კ. სამხარაძეს, ხოლო ლურსმანაშვილის, ბუხნიკაშვილისა და პეტროსიანის საკითხი საერთო კრებებზე განსახილველად გადაეცა იმ დაწესებულებებს, სადაც ისინი მუშაობენ.

იმსჯელა ამ ინციდენტზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამაც. მან დაადგინა:

1. 1968 წლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიეცეთ ბორჯომის „სპარტაკის" ფეხბურთელებს რ. ლურსმანაშვილს, მ. ბუხნიკაშვილს, ი. პეტროსიანს.

2. ბორჯომის „სპარტაკს" 3 მატჩით აეკრძალოს თავის სტადიონზე თამაში. გუნდი კალენდარულ მატჩებს ჩაატარებს ნეიტრალურ მინდორზე.

3. ა. იზრაელაშვილისა და ა. მილჩენკოს საკითხი განსახილველად გადაეცეს მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმს.

* * *

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა არასაკმარისად მიიჩნია სასჯელი რ. ლურსმანაშვილის, მ. ბუხნიკაშვილისა და ი. პეტროსიანის მიმართ და სამივეს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა.

ბორჯომის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარეს ე. გენდელმანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

## ევროპის ჩემპიონატი

## ამჯერად გდრ...

ბერლინი, 19 აგვისტო. ბერლინთან ახლოს, გრიუნაუს ტბაზე ტარდება ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ყველას აჯობეს მასპინძელმა ქალებმა, რომლებიც 5-დან სამ ფინალურ რბოლაში პირველნი იყვნენ ფინიშთან — ერთადგილიანი, წყვილმოსასმელიანი და რვაადგილიანი ნავებით. ორი დანარჩენი ფინალის შემდეგ მილოცვები მიიღეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა (გასაშლელი ოთხადგილიანი) და რუმინელებმა (წყვილთა ოთხადგილიანი).

იყო დრო, რომ ამ ჩემპიონატში მონოპოლია საბჭოთა გუნდს ეკუთვნოდა, 1966 წელს კი მთავარი პრიზი — „ქარის წისქვილი" — გდრ-ის ნაკრებმა მოიპოვა. შარშან კვლავ საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს, წლეულს ისევ გდრ-ის ნიჩბოსნებმა...

თუმცა ფინალური შეჯიბრება სწორედ საბჭოთა სპორტსმენების, ნოვგოროდელი ქალების გამარჯვებით დაიწყო. ნ. ბისტროვა, ნ. შურაკოვა, ნ. აბრამოვა და ნ. ნიკოლაევა მესაჭე ო. ბლაგოვეშჩენსკაიასთან ერთად ფინიშთან იყვნენ უკვე 3 წუთისა და 39,85 წამის შემდეგ. მათ საგრძნობი მანძილით ჩამოიტოვეს რუმინეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიისა და უნგრეთის წარმომადგენლები.

შემდეგ საქმე უხიეროდ წავიდა... საბჭოთა ერთადგილიანი ვერ მოხვდა ფინალში, სადაც ევროპაში უძლიერესის სახელს მეორე წელია არ თმობს 20 წლის ბერლინელი სტუდენტი ა. კლიუკე. წყვილთა ოთხადგილიანების შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდი III ადგილს დასჯერდა. II ადგილზე გასულმა გდრ-ის კოლექტივმა დაძაბულ ბრძოლაში 0,12 წამი მოუგო სსრ კავშირის ნაკრებს, რომელმაც შარშანდელთან შედარებით სანახევროდ შეცვალა თავისი შემადგენლობა: ს. გრუცოვა, ა. ბოჩაროვა, ნ. ტურკინა და ა. ნარიშკინა.

წყვილთა ორადგილიანების შეჯიბრებაში მოსკოველები ე. ვლასოვა და ტ. მარკვო კარგა ხანს პირველობდნენ, მაგრამ ბოლო 100 მეტრში ჩამორჩნენ გდრ-ისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებს. მათ შორის სხვაობა 0,49 წამი იყო.

...რვაადგილიანები ორჯერ დაბრუნდნენ უკან ცრუ სტარტის გამო. ის, ვინც შეჯიბრება ტელეეკრანზე ნახა, ალბათ გაიღიმებდა: ოპერატორმა აღბეჭდა გედი, რომელიც ამაყად მიცურავდა დისტანციის ბილიკებზე. ფიქრობდნენ, რომ რბოლის შეწყვეტაში სწორედ ამ ულამაზეს ფრინველს მიუძღვოდა ბრალი, მაგრამ შეჯიბრების შემდეგ ევროპის შარშანდელ ჩემპიონს — საბჭოთა გუნდს დისკვალიფიკაცია მისცეს: ცრუ სტარტებში ის აღმოჩნდა დამნაშავე.

სსრ კავშირის გუნდი ფინიშთან მეორე იყო, მაგრამ დისკვალიფიკაციის შემდეგ პრიზიორთა ადგილები ასე განაწილდა: გდრ, რუმინეთი, ჰოლანდია.

აკადემიური ნავებით მოსნოსნავე ქალები, როგორც ცნობილია, ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობენ და საბჭოთა გუნდს ახლა მთელი წელიწადი აქვს საიმისოდ, რომ ევროპის შემდეგ ჩემპიონატში რევანშისთვის მოემზადოს.

### ფინალური შეჯიბრებების ტექნიკური შედეგები

გასაშლელი ოთხიანები: სსრ კავშირი — 3.39,85; რუმინეთი — 3.41,26; გდრ — 3.42,03. ერთადგილიანები: გდრ — 4.00,79; საფრანგეთი — 4.01,46; ავსტრია — 4.04,85. წყვილთა ოთხადგილიანები: რუმინეთი — 3.31,07; გდრ — 3.33,30; სსრ კავშირი — 3.33,42. ორადგილიანები: გდრ — 3.47,13; ჰოლანდია — 3.47,62; სსრ კავშირი — 3.50,18. რვაადგილიანები: გდრ — 3.15,62; რუმინეთი — 3.21,06; ჰოლანდია — 3.23,95.

# ქართველი მძლეოსანი დივნოგორსკიდან

შარშან გაზეთში „ოგნი ენისეი" მოულოდნელად ქართული გვარი შემხვდა — ხუბეჯაშვილი: ჩვენს თანამემამულეს ქალაქ დივნოგორსკის ჩემპიონობა მოეპოვებინა სიმაღლეზე ხტომაში. მოვინდომე მისი გაცნობა, მაგრამ დიდხანს ვერ მივაკვლიე.

გავიდა ცხრათვიანი ციმბირული ზამთარი. დაიწყო მძლეოსნური სეზონი და ხუბეჯაშვილის გვარი კვლავ გამოჩნდა გაზეთში.

ამჯერად სპორტულ კლუბ „დივნოგორსკს" მივაკითხე. ხუბეჯაშვილის ნახვა ორი კვირის შემდეგ შეგიძლიათ, სტუდენტია და ახლა გამოცდებს აბარებსო, მითხრეს კლუბში.

და აი, სტადიონ „სპუტნიკზე" მძლეოსანთა ხამხარეო პირველობა გაიმართა. სანამ სპრინტერები ასპარეზობდნენ, ხუბეჯაშვილს ამაოდ ვეძებდი.



სარბიელზე მხტომელები გამოვიდნენ. როცა თამასა 170 სმ-ზე ავდეს, მსაჯმა გამოაცხადა:

— პირველი ცდისთვის მოემზადოს სპარტაკიადის შარშანდელი ჩემპიონი, დივნოგორსკელი ხუბეჯაშვილი!

დავინახე, როგორ გაიხადა სპორტული ტანსაცმელი მოხდენილმა ახალგაზრდამ. პატარა გარბენი და იგი ლამაზად გადაევლო თამასას. გაისმა ტაში.

შეჯიბრება რომ დამთავრდა, დიმიტრი მოვძებნე, ჩემპიონის სახელის შენარჩუნება მივულოცე და ვკითხე:

— ხვალ სიგრძეზე ხტომაში აპირებთ გამოსვლას, რა შედეგებს ელით?

— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, — მიპასუხა ღიმილით.

ვთხოვე ეამბნა თავის თავზე.

— ახმეტის რაიონიდან გახლავართ, სოფელ ფიჩხოვანიდან, — მითხრა დიმიტრიმ. — თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის IV კურსზე ვსწავლობდი, როცა არმიაში გამიწვიეს. 3 წელი სამხედრო სამსახურში დავყავი. დემობილიზაციის შემდეგ კრასნოიარსკის ჰესის მშენებლობაზე ჩამოვედი კომკავშირული საგზურით. 1967 წლის სექტემბრიდან დივნოგორსკის პირველ საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად, ბავშვთა სპორტსკოლაში კი მძლეოსნობის მწვრთნელად ვმუშაობ, ამასთან, დაუსწრებლად ვსწავლობ კრასნოიარსკის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზკულტურის ფაკულტეტზე.

მეორე დღეს ისევ მივაშურე სტადიონს. ხუბეჯაშვილს არც ამ დღეს გაუწბილებია მეგობრები. სიგრძეზე ხტომაში ქალაქის ახალი რეკორდი დაამყარა — 610 სანტიმეტრი.

— ყველაზე ძნელი შეჯიბრება აგვისტოში მელის. კრასნოიარსკის მხარის პირველობა ტარდება და მე ათჭიდში უნდა გამოვიდე დივნოგორსკის სახელით, — თქვა დიმიტრიმ.

გივი სარქისაშვილი,
ჰესის მშენებელი.

დივნოგორსკი,
კრასნოიარსკის მხარე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: დ. ხუბეჯაშვილი ესტაფეტის ფინიშზე.

ფოტო გაზეთიდან „ოგნი ენისეი".

# ტანვარჯიშის ოლიმპიური იმედები

კლუჟი, 19 აგვისტო. რუმინეთის ამ ქალაქში გაიმართა ნორჩ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „ოლიმპიური იმედები". ტურნირში მონაწილეობდნენ 10 ქვეყნის გოგონები და ჭაბუკები, რომელთა ასაკი 18 წელს არ აღემატება.

გოგონათა შორის საუცხოოდ იასპარეზეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა, რომლებმაც 187,95 ქულა დააგროვეს და ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაში. II ადგილი დაიკავა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა — 186,85 ქულა, III — რუმინეთის გუნდმა — 186,40.

პირად ჩათვლაშიც სსრ კავშირის გოგონებმა იმარჯვეს: უძლიერესის სახელი დაისაკუთრა გროზნოელმა ლ. ტურიშჩევამ, რომელმაც მრავალჭიდში 38,40 ქულა დააგროვა. გამარჯვებულს მხარი აუბა მაღალ პერსპექტიულმა ნორჩმა ტანმოვარჯიშე გოგონამ თ. ლაზაკოვიჩმა (ვიტებსკი) — 37,70 ქულით მან II ადგილი დაიკავა.

III ადგილზეა ა. გორეაკი (რუმინეთი) — 37,65 ქულა.

თავისუფალ ვარჯიშში და ორძელზე პირველობდა ტურიშჩევა, ძელზე — ლაზაკოვიჩი.

როგორც ხედავთ, საბჭოთა გოგონები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, ჭაბუკები კი გუნდურ ჩათვლაში III ადგილით დაკმაყოფილდნენ. აქ ყველას აჯობეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. II ადგილი მოიხვეჭეს გდრ-ის სპორტსმენებმა.

პირად ჩათვლაშიც საუკეთესო იყო კორეელი სპორტსმენი, 15 წლის მოსწავლე ლი სონ სენი, მრავალჭიდში მისი ჯამია 56,45 ქულა. II ადგილზეა საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი ვ. ფოგელი (56 ქულა), ხოლო III — გდრ-ის ტანმოვარჯიშე ბ. ეგერი — 55,95.

„ლელოს" ინტერვიუ

# მინსკი, ლუგანსკი, არზამასი და...



ისტორიას დროდადრო სჩვევია გამეორება: თითქოს გუშინ იყო, ქართველი გულშემატკივრები ზეიმით რომ ხვდებოდნენ მინსკიდან და ლუგანსკიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს, დღეს კი...

თბილისის აეროპორტში თავი მოეყარათ სპორტის მოყვარულებს, ნორჩ ფეხბურთელთა მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს, ჟურნალისტებს. იყო მილოცვები და ყვავილები.

პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლებმა — ბლოკნოტებით, მიკროფონებითა და გადამღები აპარატურით შეიარაღებულმა ჟურნალისტებმა მჭიდრო რკალში მოაქციეს ნორჩი ფეხბურთელები, მათი მწვრთნელები. ორსაათიან ფრენას „ორსაათიანი" ინტერვიუ დაემატა.

დიახ, ქართულმა სპორტმა კიდევ ერთი ახალი გამარჯვება მოიპოვა — ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა ყველას აჯობა „სიჭაბუკის თასის" საკავშირო გათამაშებაში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

არზამასში, „სპარტაკის" სტადიონზე დაწყებული საპატიო წრე საქართველოს დედაქალაქში გაგრძელდა. ნორჩებმა ეს სავსებით დაიმსახურეს — თვითეულმა მათგანმა ხომ ყველაფერი იღონა, რათა მშობლიურ ქალაქში ჩამოეტანა სანუკვარი თასი. ეს მხოლოდ ჩვენი აზრი როდია, ასე ფიქრობს გუნდის უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. ხიხარულიძე, რომელსაც ინტერვიუ ჩამოართვა ჩვენმა კორესპონდენტმა ტ. ნოზაძემ.

● **იქნებ ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ „სიჭაბუკის თასის" გათამაშების ისტორია?**

— საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საკავშირო გათამაშება „სიჭაბუკის თასზე" 14-15 წლის ფეხბურთელებს შორის ტრადიციულად [illegible]ბა 1964 წლიდან. ამ თასის პირველი მფლობელი იყო უკრაინის ნაკრები, შემდეგ კი იგი უზბეკეთის ნორჩმა ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს. ბოლო ორ წელიწადს „სიჭაბუკის თასს" მოსკოველები ფლობდნენ.

● **რა ფორმულით ტარდებოდა წლევანდელი გათამაშება?**

— გათამაშების ფორმულა წლეულს ასეთი იყო: პირველი ეტაპის შესარჩევი თამაშები გაიმართა რესპუბლიკების ქალაქებსა და სოფლებში. მეორე ეტაპის შეჯიბრებებში, რომლებიც 3-14 ივლისს გაიმართა, გამოდიოდა 18 კოლექტივი — ყველა რესპუბლიკის (უკრაინამ გამოიყვანა 2 გუნდი), მოსკოვისა და ლენინგრადის ფეხბურთელები. ნახევარფინალური ტურნირები სამ ზონად ტარდებოდა. ჩვენი გუნდი მესამე ზონაში გამოდიოდა, სადაც რუსეთის ფედერაციის ნაკრების შემდეგ II ადგილი დაიკავა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. დასკვნითი ეტაპი, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გაიმართა 1-11 აგვისტოს არზამასში.

დავუმატებ იმასაც, რომ ტურნირი [illegible] წრედ ტარდებოდა, მატჩების ხანგრძლიობა 70 წუთი იყო (ორი 35-წუთიანი ტაიმი), თამაშის დროს შეიძლებოდა მინდვრის 4 მოთამაშისა და მეკარის შეცვლა.

● **ახლა ფინალური ექვსეულის შესახებ. რას გვეტყვით ფავორიტებზე?**

— თასის ადრინდელი მფლობელებიდან ოქროს მაძიებლებს შორის მხოლოდ მოსკოვის გუნდი მოხვდა. მომდევნო ხუთეული კი ასეთი გახლდათ: რუსეთის ფედერაცია, ლიტვა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ფინალს მიღმა დარჩნენ ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიც უკრაინისა და ლენინგრადის კოლექტივები არიან. ყველა მეტოქე სახიფათო იყო, მაგრამ სხვებზე უფრო რუსეთის გუნდი მიგვაჩნდა ფავორიტად. სხვათა შორის, მასთან ჩვენ უკვე გვქონდა ნათამაშევი სვერდლოვსკში, ნახევარფინალური შეჯიბრების დროს, სადაც მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

● **იქნებ ჩამოგვითვალოთ „სიჭაბუკის თასზე" შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდის ყველა წევრი — საიდან არიან ისინი და რა ამპლუაში გამოდიან გუნდში?**

— დავიწყოთ მეკარეებით: რ. კეტია (გუდაუთა) და მ. გაგოშიძე (თბილისი), რომელიც ტურნირის საუკეთესო მეკარედ იქნა აღიარებული; მცველები — რ. ბესალაშვილი, წინა ეტაპის საუკეთესო მცველი, ო. ბერულავა, თ. ადუაშვილი (ყველა — თბილისი), ი. ტოპოლსკოვი (გუდაუთა), რ. გიორგობიანი (გორი); ნახევარმცველები თ. ულუმბელაშვილი (ხაშური) და ლ. ჩეხოევი (ცხინვალი); თავდამსხმელები დ. სართანია, ნ. ქერდიკაშვილი, შ. ალთუნაშვილი, ნ. ებრალიძე (ყველა — თბილისი), ბ. ფარულავა (ქუთაისი) და ვ. შელია (გაგრა) — მეორე ეტაპის საუკეთესო მეკარე. გარდა ზემოთ დასახელებული თექვსმეტი ფეხბურთელისა, პირველი და მეორე ეტაპების მატჩებში თამაშობდნენ მეკარე თ. მაქაცარია (ბათუმი) და მცველი ი. შადურა (გუდაუთა).

● **ვინ გეხმარებოდათ გუნდის მომზადებაში?**

— საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების გუნდის მეორე მწვრთნელი იყო ახალგაზრდა აღმზრდელი ჯ. ანთიძე, რომელიც ჩვენს კოლექტივში წლეულს მაისში მოვიდა. მან უკვე მოიპოვა ნორჩების სიყვარული. ანთიძე გულმოდგინე, დაკვირვებული მწვრთნელია და, ვიმედოვნებ, კარგი სპეციალისტი დადგება. მზადების პერიოდში ჩვენს გუნდს დიდი დახმარება გაუწია ქალაქის ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ (უფროსი მ. ჩიკვაიძე), რომელმაც სავარჯიშოდ გამოგვიყო თავისი საუკეთესო ბაზა და ყოველგვარ პრაქტიკულ დახმარებას გვიწევდა, როგორც შეფი.

● **როგორც ცნობილია, შეჯიბრების გადამწყვეტ ფაზაში ჩვენმა გუნდმა 10 მატჩი ჩაატარა (5 სვერდლოვსკში და 5 არზამასში). ამ შეხვედრებიდან რომელი იყო უფრო დასამახსოვრებელი სპორტულადაც და მნიშვნელობითაც?**

— ცხადია, სხვებზე მეტად დაგვამახსოვრდა მატჩი რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან, რომელიც ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა. მატჩი წყვეტდა გათამაშების ბედ-იღბალს. საქმე ისაა, რომ რუსეთის გუნდს 4 შეხვედრაში 7 ქულა ჰქონდა. მას ერთი ქულით ჩამორჩებოდა სომხეთის გუნდი, ხოლო მოსკოვის გუნდმა და ჩვენ 5-5 ქულა მოვაგროვეთ. ლიტვისა და აზერბაიჯანის კოლექტივებისთვის ბოლო შეხვედრას ის მნიშვნელობა-ღა ჰქონდა, რომ გამოერკვია, ვინ იქნებოდა ბოლო. როგორც ხედავთ, საქართველოს გუნდი წარუმატებლობის შემთხვევაში IV ადგილზე გადიოდა. ბუნებრივია, ეს ხელს არ გვაძლევდა. იყო სხვა ვარიანტებიც — ფრე (ამ შემთხვევაში III ადგილზე გავდიოდით). გამარჯვება ერთი ბურთის სხვაობით II ადგილს გვაძლევდა. რა გასაკვირია, რომ ჩვენმა ბიჭებმა ერთადერთი ვარიანტი აირჩიეს — გამარჯვება! გუნდს შემდეგი მითითება მივეცით: პირველივე წუთებიდან გადასულიყო იერიშზე და რაც შეიძლება გაბედულად დაებომბა მეტოქის კარი. მშვენივრად ითამაშა ჩვენმა დაცვამ, რამაც, თავის მხრივ, ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებს აქტიური შეტევის საშუალება მისცა. მე-15 და 48-ე წუთებზე ქერდიკაშვილმა და შელიამ ორი ულამაზესი გოლი გაიტანეს. როგორც ხედავთ, ამოცანა პირნათლად გადავწყვიტეთ.

● **რა შეჯიბრებები ელის საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებ კოლექტივს?**

— 3 სექტემბრიდან კვლავ ვიწყებთ ვარჯიშს. სექტემბრის შუა რიცხვებში გუნდს ელის ახალი შეჯიბრება — ლიტვის დედაქალაქში დანიშნულია ესტონეთის, სომხეთის, საქართველოსა და ლიტვის ჭაბუკ ფეხბურთელთა ამხანაგური ტურნირი. აქტიურად მოვემზადებით სხვადასხვა შეჯიბრებისთვის, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაა.

• • •

**სურათზე** (მარცხნიდან): **წვანან** — თ. ადუაშვილი, ვ. შელია; **სხედან** — ნ. ებრალიძე, დ. სართანია (გუნდის კაპიტანი), რ. ბესალაშვილი, ბ. ფარულავა, მ. გაგოშიძე; **დგანან** — გუნდის მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. ხიხარულიძე, თ. ულუმბელაშვილი, შ. ალთუნაშვილი, რ. გიორგობიანი, რ. კეტია, ო. კოკოშვილი, ო. ბერულავა, ნ. ქერდიკაშვილი, ი. ტოპოლსკოვი, ლ. ჩეხოევი, გუნდის მეორე მწვრთნელი ჯ. ანთიძე.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ბ" ჯგუფი

### ძლიერად

19 აგვისტოს ზუგდიდში გაიმართა მორიგი შეხვედრა რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის: ადგილობრივმა „ენგურმა" მიიღო კაფანის „ლერნაგორცი".

ზუგდიდელი ფეხბურთის მოყვარულნი ვერ დაემდურებიან თავიანთი გუნდის ბოლო გამოსვლებს. მართლაც, მეორე წრეში „ენგური" სრული ძალით თამაშობს და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს.

ასე ძლიერად ითამაშეს ზუგდიდელებმა „ლერნაგორცთანაც". თავიდანვე აღებული მაღალი ტემპი „ენგურმა" დაამთავრა იმით, რომ ჯერ მე-15 წუთზე გახსნა ანგარიში (კემულარია), ხოლო შემდეგ აბრალავა — სახოკიას სწრაფ კომბინაციას მოჰყვა მეორე გოლი — 2:0.

ამაო გამოდგა კაფანელთა ცდა — შეეტანათ ცვლილება თამაშის მსვლელობაში. მასპინძლები იერიშს განაგრძობდნენ და მალე სახოკიამ შორიდან კიდევ ერთხელ აიძულა „ლერნაგორცის" მეკარე ბადიდან გამოეტანა ბურთი — 3:0.

ბ. ალშიბაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა შეხვედრები

III ზონა

„დაშკინი" (ზაქათალა) — „არაზი" (ნახიჭევანი) 2:0, „უროჟაი" (ლაბინსკი) — „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) 1:2, „უროჟაი" (მაიკოპი) — „ხიმიკი" (ნევინომისკი) 2:1, „სპარტაკი" (ორიოლი) — „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) 2:0, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „უროჟაი" (სვეტლოგრადი) 2:1, „სპარტაკი" (ბელგოროდი) — „ურალანი" (ელისტა) 5:1, „ხიმიკი" (ბალაკოვო) — „ალაზანი" (გურჯაანი) 3:2, „ტრუდი" (ენგელსი) — „დილა" (გორი) 0:0, „ენერგია" (ვოლჟსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:2.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

● **„არაგვი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (ბორჯომი) 0:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

● **„ხულორი" (ვანი) — „დურუჯი" (ყვარელი) 5:0. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).**

● **„ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „აერო" (გალი) 2:2. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).**

თამაში თავიდანვე სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა და საგოლე მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე კართან. ანგარიში გახსნეს ბათუმელებმა (ჭანუყვაძე), მაგრამ მიქვაბიამ ტაიმის დასასრულამდე გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1. შესვენების შემდეგ მეტოქეთა კარში კიდევ თითო ბურთი გავიდა.

● **„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „იხანი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).**

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მშენებელი" (სიღნაღი) 1:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).**

შესვენებამდე მეტოქეებმა ვერ შეძლეს რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება. ანგარიში მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა სიღნაღელმა ასათიანმა. ამ გოლის გაქვითვას სტუდენტები კარგა ხანს მოუნდნენ და ეს შეძლო აფხაზავამ.

● **„კოლხეთი" (ცხაკაია) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).**

● **„სინათლე" (თბილისი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 3:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).**

თბილისელი სიმონიშვილის გატანილი გოლი მალე გაქვითა შელიამ — 1:1. შემდეგ იმავე სიმონიშვილმა კვლავ დააწინაურა „სინათლე", შემდგომში კი დვალმა

საბოლოოდ განამტკიცა თბილისელთა გამარჯვება.

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

„მევენახე" (ვაზისუბანი) — „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) 2:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:1, „შირაქი" (წითელწყარო) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:1.

II ზონა

„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:0, „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) — „დინამო" (ოჩამჩირე) 0:1, „განთიადი" (აბაშა) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:1, „კოლხეთი" (ხობი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:1, „განახლება" (ადიგენი) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:1.

### ზონალური გათამაშება

ქარელი — დმანისი 7:1, თეთრი წყარო — „აერო" (თბილისი) 1:2, ახმეტა — თიანეთი 2:1, ლაგოდეხი — თელავი 4:2, ზესტაფონი — ონი 6:3, მახარაძე — ლანჩხუთი 2:0.

## ოქროს 10 მედალი

# თბილისელი თედიაშვილი პირველია

ლაიპციგი, 20 აგვისტო. „ოლიმპიური იმედების" აქ დამთავრებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა ათლეტებმა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს: კლასიკურ ჭიდაობაში 8 პირველი ადგილიდან 6 მოიპოვეს, ხოლო თავისუფალ ჭიდაობაში — ოქროს 4 მედალი. ხალიჩაზე გამოდიოდნენ არა უმეტეს 21 წლის სპორტსმენები.

აი, გამარჯვებულები წონითი კატეგორიების მიხედვით: კლასიკური ჭიდაობა — ვ. არუთიუნოვი (ერევანი), ვ. ტრიფონოვი (მოსკოვი), ლიპჩინი (პოლონეთი), გროშელი (გდრ), ა. ნაზარენკო (ალმა-ათა), ნ. ტიუტიუნიკი (ლუგანსკი), ნ. ბალბოშინი (მოსკოვი), ვ. ფრეიიცი (ოდესა); თავისუფალი ჭიდაობა — პ. სუნგ კილი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა), პ. შესტაკოვი (მინსკი), ვასილიევი (ბულგარეთი), ა. აირაპეტიანი (ბაქო), ლ. თედიაშვილი (თბილისი), ვ. არუთიუნოვი (ბაქო), ნეკოვი (ბულგარეთი), ა. პროკოპჩუკი (მოსკოვის ოლქი).

## დაკარგული ქულა

გომელი, 20 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ხელბურთელთა ჩემპიონატში დაიწყო ფინალური შეხვედრები. ქალთა ტურნირში მინსკელებმა მინიმალური ანგარიშით სძლიეს სვერდლოვსკელებს — 13:12. ასევე გაუჭირდათ ჩერკასელებს კიეველებთან მოგება — 15:13.

ვაჟთა ფინალში მინსკელებმა დაამარცხეს სვერდლოვსკელები — 24:19. თბილისელი ხელბურთელები ზაპოროჟიელებს შეხვდნენ. მატჩი თავიდანვე ქართველ სპორტსმენთა უპირატესობით წარიმართა და ტაიმიც მოვიგეთ — 9:6. შესვენების შემდეგ თბილისელებმა ხელიდან გაუშვეს ინიციატივა, დაცვაში სუსტად ითამაშეს და საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ — 17:17.

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის ოსტატი.

## საკმაოდ ჩამორჩნენ

გომელი (ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა საჭადრაკო პირველობის ერთ-ერთი ნახევარფინალი. 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ხ. კაპენგუტი (ბელორუსია) — 5,5 ქულა, ვ. ბაგიროვი (აზერბაიჯანი), ა. ლუტიკოვი (მოლდავეთი) — 4,5-4,5, ლ. გრიგორიანი (სომხეთი) — 4.

განვლილი ბრძოლიდან აღსანიშნავია ახალგაზრდა კაუნასის (ლიტვა) გამარჯვება ბაგიროვთან.

კვლავ წარუმატებლად თამაშობენ თბილისელი მოჭადრაკეები ზ. მიქაძე და ა. იზვოზჩიკოვი. პირველი ოსტატებთან ბუტნორიუსსა (ლიტვა) და კუპრეიჩიკთან (ბელორუსია) ყაიმის შემდეგ დამარცხდა გრიგორიანთან, მეორემ — ოსტატ ნიკიტინთან (ყაზახეთი) და ოსტატობის კანდიდატ ტიივესთან (ესტონეთი) წაგების შემდეგ მოუგო ბუტნორიუსს. ახლა მიქაძეს 2 ქულა აქვს, იზვოზჩიკოვს — 1.

# ბურთი წყალზე

თბილისსა და ბათუმის საერთაშორისო...

ორშაბათს თბილისის ზამთრის საცურაო აუზში სტარტი აიღო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა. ამ შეჯიბრების მიზანია მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშებისთვის წყალბურთელთა ეროვნული გუნდების ძალთა საბოლოო შემოწმება, მომავალ მეტოქეთა დაზვერვა, ტაქტიკურ მონახაზთა საბოლოო შერჩევა.

შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ სარბიელზე გამოვიდნენ ჰოლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრები გუნდები. რამდენიმე წლის წინ ჩვენ ვიხილეთ ჰოლანდიელთა თამაში. მაშინ მათ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს უზადო ტექნიკით, თამაშის აკადემიური მანერით. მაგრამ ჰოლანდიელთა წარმატებას სწორედ ეს მეტისმეტი აკადემიზმი აფერხებდა: მჭიდრო პოზიციებში თამაშს გაურბოდნენ, მათი ტაქტიკა ძველ ტრადიციებს ეყრდნობოდა და თუმცა სანახაობრივად ლამაზი იყო, მცირე ეფექტს აღწევდა.

ჰოლანდიელებმა ამჯერად მოწინავე გუნდებს მიბაძეს. ისინი არ გაურბიან ჭიდილს, თამამად „ბოჭავენ" მეტოქეს და ყოველ შესაძლებლობას იყენებენ კარში ბურთის ტყორცნისთვის. ერთი ესაა, რომ კომბინაციების შესრულებისას სისწრაფე ღალატობთ.

თამაშის პირველი პერიოდი პოზიციური ხასიათისა იყო ძირითადად ჩეხოსლოვაკიელთა ნახევარზე. ბურთს მეტწილად ჰოლანდიელები ფლობდნენ და ფლანგური გადაცემებით არყევდნენ მეტოქეთა დაცვით პოზიციებს. ერთ-ერთი გადაცემისას ფ. ფონ დორნმა დრო იხელთა და უეცარი ეფექტური ტყორცნით გახსნა ანგარიში.

მეორე პერიოდში ჰოლანდიელები კვლავ განაგრძობდნენ ბურთის კონტროლს ჩეხოსლოვაკიელთა ნახევარზე. მე-7 წუთზე ნ. ფონ დე ფუტმა წამით გაითავისუფლა თავი, ცრუ ილეთით მოატყუა მეკარე და მძლავრი ტყორცნით ბურთი კარის მარცხენა მაღალ კუთხეში მოათავსა.

ურთიერთჭიდილში ორივე გუნდის მოთამაშეებმა 3-3 საჯარიმო ქულა მიიღეს და ჯერ ჩეხოსლოვაკიელმა სადილმა ოთხმეტრიანი საჯარიმო ტყორცნით გაქვითა ერთი ბურთი, ხოლო შემდგომ კვლავ ნ. ფონ დე ფუტმა იგივე ოთხმეტრიანი საჯარიმო ტყორცნით ანგარიში გაზარდა. პერიოდის ბოლოს ჩეხოსლოვაკიელმა რეინოვსკიმ შორიდან მძლავრი ტყორცნით მეორედ შეარხია ჰოლანდიელთა კარის ბადე.

მესამე პერიოდში გუნდებმა თითო ბურთი გაიტანეს ოთხმეტრიანი საჯარიმო ტყორცნით და ჰოლანდიელმა ბ. ბონგერსმა პერიოდის დასასრულს ულამაზესი ტყორცნით ანგარიში გაზარდა — 5:3.

დასკვნით პერიოდში, მას შემდეგ, რაც ნ. ფონ დე ფუტმა ოთხმეტრიანი საჯარიმოდან მეექვსე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, ჰოლანდიელები მოდუნდნენ და იგივე ნ. ფონ დე ფუტმა ვერ შეძლო მომდევნო ოთხმეტრიანი საჯარიმოს რეალიზება.

ჩეხოსლოვაკიელებმა მთელი სიმძაფრით შეუტიეს მოწინაღმდეგეს, ჰოლანდიელებმა მკვეთრ პრესინგს მიმართეს და ხშირად არღვევდნენ წესს. ზედიზედ ორი ოთხმეტრიანი საჯარიმოდან ჩეხოსლოვაკიელებმა მინიმუმამდე შეამცირეს ანგარიშში სხვაობა. თამაშის დრო იწურებოდა. ჩეხოსლოვაკიელებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ ბურთი დაკარგეს და ჰოლანდიელებს მისცეს შესაძლებლობა ფინალურ სასტვენამდე წყნარად და დინჯად გაეთამაშებინათ იგი.

ჰოლანდიელები და ჩეხოსლოვაკიელები ბულგარეთისა და საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა შეცვალეს. მასპინძელთა კოლექტივი ძირითადი სასტარტო შვიდეულით გამოვიდა. ბულგარელები არ შეუშინდნენ სახელმოხვეჭილ მეტოქეებს და მჭიდრო პრესინგს მიმართეს. ქართველ წყალბურთელთა თამაშში რაღაც შებოჭილობა იგრძნობოდა. აი, ვ. სანაძემ ოთხმეტრიან ზონაში დაარღვია წესი და მსაჯმა მ. მანგელოტმა დანიშნა ოთხმეტრიანი საჯარიმო თბილისელთა კარში. ბულგარელთა კაპიტანმა ს. ბონევმა ბურთი მოიმარჯვა და მძლავრად ტყორცნა, მაგრამ მეკარე მ. გულედანმა ბრწყინვალედ მოიგერია იგი კუთხურზე. თბილისელებმა ბურთი აართვეს მოწინააღმდეგეს და იერიშზე გადავიდნენ. გუნდის ვეტერანმა ბ. მეგედმა დრო იხელთა და შორიდან მოულოდნელი მძლავრი ტყორცნით გახსნა ანგარიში. ბულგარელებმა მიიღეს თამაშის ტემპი და პერიოდის ბოლოს თ. ტომოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა მასპინძლების კარში.

მეორე პერიოდში ო. მიმინოშვილმა კარგად გამოიყენა ბულგარელთა კართან შექმნილი არეულობა და მოულოდნელად ტყორცნა კარში. ბულგარელებმა ზედიზედ დაარღვიეს წესი და ვ. ისელიძემ ოთხმეტრიანი საჯარიმოდან ტყორცნით ანგარიში გაზარდა. პერიოდის დასასრულს ო. მიმინოშვილი დაჯარიმდა და ბ. კონსტანტინოვმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა.

მესამე პერიოდი ქართველმა წყალბურთელებმა მძაფრი იერიშით დაიწყეს. ბულგარელებმა წესი დაარღვიეს და ისელიძემ ოთხმეტრიანი საჯარიმოდან გაიტანა მეოთხე ბურთი. მეტოქენი ხშირად უშვებენ შეცდომებს. ბურთს ხან ერთი გუნდი კარგავს, ხან მეორე. მასპინძელთა კონტრშეტევები აშკარა საგოლე სიტუაციებს ქმნის, მაგრამ დასკვნით მომენტებში ბურთი იკარგება და უკვე თბილისელთა კართან იქმნება კრიტიკული მომენტები. და მაინც, ქართველებმა იმარჯვეს. ვ. სანაძემ შეძლო წინ გასვლა და ახლო მანძილიდან ანგარიში ხუთამდე გაზარდა.

მეოთხე, დასკვნით პერიოდში უკვე ბულგარელებმა იყოჩაღეს და ისელიძის გატანილი მეექვსე ბურთის პასუხად ჯერ ბ. კონსტანტინოვმა, ხოლო შემდეგ ნ. ზლატევმა ორჯერ აიღეს მასპინძელთა კარი.

საბოლოო ანგარიშია 6:4 საქართველოს წყალბურთელთა სასარგებლოდ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნაკრების დებიუტანტებმა „ბურევესტნიკიდან" თ. უშანგიშვილმა და ნ. კურტანიძემ.

**ვ. ბარნაბიშვილი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *





სურათზე: ჰოლანდიის გუნდი შესვენების დროს ახალი ვარიანტის ძიებაშია; ჯ. წიკლაური (მარცხნივ) და ნ. ზლატევი თამაშის დროს. ფოტო შ. ფიჩხაძისა.

## გუშინ...

საქართველოს ნაკრებმა აჯობა ჩეხოსლოვაკიელებს (7:5), ხოლო სსრ კავშირის ნაკრებმა — ჰოლანდიის გუნდს — 11:4. დღეს წყალბურთელები ბათუმს მიემგზავრებიან, სადაც 22 აგვისტოს ასპარეზობას განაგრძობენ.

## ნაკრები გუნდების წინააღმდეგ

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ამას წინათ დნეპროპეტროვსკში გაიმართა, მონაწილეობდნენ „ა" კლასის ოსტატთა კოლექტივები — სსრ კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორი — ლენინგრადის „ბურევესტნიკი", საზოგადოების ცენტრალური საბჭოს შარშანდელი ჩემპიონი — ალმა-ათის გუნდი, მოსკოვის, კიევის, როსტოვის, ვორონეჟის, ბაქოს, დნეპროპეტროვსკის, ფრუნზეს, ტაშკენტისა და ერევნის კალათბურთელები. ასპარეზობაში მხოლოდ თბილისი იყო წარმოდგენილი ერთი სასწავლებლის კოლექტივით—უნივერსიტეტის გუნდით.

თბილისელ სტუდენტებს, ცხადია, გაუჭირდათ ბრძოლა ნაკრები გუნდების წინააღმდეგ და ამიტომაც წააგეს როსტოვის (52:61), ბაქოსა (40:52) და დნეპროპეტროვსკის (44:63) კოლექტივებთან. მაგრამ შემდეგ თბილისელებმა დაამარცხეს ალმა-ათის (50:44), ფრუნზეს (61:59), ტაშკენტის (49:39), ერევნისა (59:40) და კიევის (43:41) გუნდები და VII ადგილი დაიკავეს. I ადგილი ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" დაისაკუთრა.

**ლ. ბენგაშვილი,**
სპორტის ოსტატი.

## მეგობრული შარჟები



ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდის მოთამაშე ვ. ბოტთლიკი.



ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რ. ფეკოლონი.

ნახ. ზ. შანიძისა.


# სკოლა გიხმობთ!

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური № 2 სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისთვის.

მოსწავლეები (გოგონები და ჭაბუკები) მიიღებიან III, IV, V, VI და VII კლასებში სპორტული ტანვარჯიშის, ჩოგბურთისა და ბადმინტონის განხრით: III კლასში — 1959 წელს, IV კლასში — 1958, V კლასში — 1957, VI კლასში — 1956 და VII კლასში — 1955 წელს დაბადებულნი.

შემომსვლელთა სპორტული მონაცემების შემოწმება 22-30 აგვისტოს მოხდება.

განცხადებები მიიღება სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში 30 აგვისტომდე. განცხადებას უნდა დაერთოს: ცნობა მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ჯანმრთელობის (ფორმები № 286, 191, 26), ოჯახის წევრთა რაოდენობის, მოსწავლეთა მშობლების ხელფასის (ცალ-ცალკე) შესახებ, დაბადების მოწმობა და 3 ფოტოსურათი.

სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, კვებით, სპორტული მეცადინეობისთვის საჭირო ბაზებით და ფორმით. სწავლება — ქართულ ენაზე.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, გლდანი. თიანეთის გზატკეცილი, № 2. სპორტული სკოლა-ინტერნატი.


## ჭადრაკის სამყაროში

ვარშავა. პოლონეთის ვაჟთა პირველობაში 16 ოსტატმა ითამაშა, უძლიერესის სახელი დაისაკუთრა კრაზჩევსკიმ — 10,5. II-IV ადგილები გაიყვეს კოსტრომ, ადამსკიმ, ლევიმ და შმიდტმა—9,5-9,5. ქალებში ქვეყნის ჩემპიონი გახდა ოსტატი ლიტმანოვიჩი — 8,5 ქულა 11-დან. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა საერთაშორისო ოსტატმა გოლუი-რაძიკოვსკამ.

სტოკჰოლმი. შვეციის ჩემპიონი მეორედ გახდა 25 წლის ოსტატი მარტენსი — 11,5 ქულა 15-დან.

ნიუ-იორკი. ქალაქის ღია პირველობის ფინალში გაიმარჯვა დიდოსტატმა ბენკომ.

ლონდონი. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების მოჭადრაკეთა ტრადიციული 86-ე გუნდური შეხვედრა ამჯერად კემბრიჯელებმა მოიგეს — 5:2.

## ახალი ამბები

● **ულან-ბატორი, 19 აგვისტო.** 8 სახელმწიფოს მოჭადრაკე ქალები მონაწილეობდნენ აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. 11 პარტიაში კარაკაშმა (უნგრეთი) და ნიკოლაუმ (რუმინეთი) 9-9 ქულა დააგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. III ადგილი წილად ხვდა ჰოლანდიელ ჰეემსკერკს ... ქულა.

● **პოლიანიცა-ზდრუი, 19 აგვისტო.** პოლონეთის ამ აგარაკზე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 10 ტურის შემდეგ ლიდერობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია. საბჭოთა დიდოსტატს ნახევარი ქულით ჩამორჩება ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ... კავალეკი, რომელსაც ასევე ერთი პარტია აქვს დასამთავრებელი. III ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ზ. დოდა (პოლონეთი) — 6 ქულა. ტურნირის ბოლომდე 5 ტური დარჩა.

● **ტალინი, 19 აგვისტო.** საბჭოთა კავშირისა და სკანდინავიის ახალგაზრდული გუნდების აქ გამართული მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით აღინიშნა — 20,5:9,5. შეხვედრა ორ ტურად ჩატარდა. შეჯიბრებაში 6 ქვეყნის ნორჩი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ, რომელთა შორის პირველად იყვნენ დანიის წარმომადგენლები. პირველი ამგვარი შეხვედრა ორი წლის წინათ გაიმართა სტოკჰოლმში და მაშინაც საბჭოთა ნაკრებმა იმარჯვა — 23:7. წლევანდელი მატჩის მთავარი მსაჯი დიდოსტატი პ. კერესი იყო. მატჩში მონაწილეობდა მისი ერთი მოწაფეც — 15 წლის ა. ვეინგოლდი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული [illegible]

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი). 21 აგვისტოს — სათადარიგო შემადგენლობანი, 22 აგვისტოს — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 17 ს. 45 წ.

**კალათბურთი.** კიროვის სახ. პარკის სტადიონი. 22 აგვისტო. ქალთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა: „ბურევესტნიკი" (თბილისი) — პარიზის უნივერსიტეტი. დასაწყისი 20 ს.

საქართველოს სპორტკავშირი და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ცინცაძეს ძმის **ნოდარ მიხეილის ძე ცინცაძის** გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11003